



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



Kingdom of the Netherlands

დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის
25 ნოემბერი, 2011

NDI-საქართველო – პროგრამის კოორდინატორი

ირინა რეხვიაშვილი
995 599 78 02 08
irina@ndi.ge

ISFED აღმასრულებელი დირექტორი

ნინო ლომჯარია
995 555 02 02 00
nino.lomjaria@isfed.ge

**საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე საყოველთაო-საჯარო
კონსულტაციები დაიწყო**

თბილისი – 28 ნოემბერი, 16:00 საათი, საქართველოს პარლამენტის პირველი რესპუბლიკის დარბაზი- ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ბიურო და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით საჯარო კონსულტაციების პროცესს იწყებს. პირველი შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან 28 ნოემბერს, 16:00 საათზე თბილისში, საქართველოს პარლამენტის პირველი რესპუბლიკის დარბაზში გაიმართება.

შეხვედრაზე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი დამსწრე საზოგადოებას საკონსტიტუციო ცვლილების პროექტს წარუდგენს და ცვლილების შემუშავების პოლიტიკურ პროცესს გააცნობს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას პარლამენტის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები გააცნობენ. დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ექნება, ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით კითხვები დასვას და საკუთარი მოსაზრებები დააფიქსიროს.

საკონსტიტუციო ცვლილების პროექტის თანახმად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150–დან 190–მდე იზრდება.

საქართველოს პარლამენტში საჯარო კონსულტაციების პროცესის დაწყების შემდეგ ISFED საჯარო შეხვედრებს საქართველოს რეგიონებში გამართავს. შეხვედრები ჩატარდება გურჯაანში (2 დეკემბერი), თელავში (2 დეკემბერი), დუშეთში (5 დეკემბერი), ახალციხეში (7 დეკემბერი), რუსთავსა (8 დეკემბერი) და გორში (8 დეკემბერი). ოთხი შეხვედრა – ქუთაისში (29 ნოემბერი), ბათუმში (30 ნოემბერი), ოზურგეთსა (30 ნოემბერი) და ზუგდიდში (1 დეკემბერი) – NDI-ის ხელშეწყობით გაიმართება. შეხვედრაზე საკონსტიტუციო ცვლილების ინიციატორები და პარლამენტის ოპოზიციონერი წევრები ცვლილებას და მასთან დაკავშირებულ პოზიციებს ხალხს გააცნობენ.

საჯარო კონსულტაციების პროცესს მხარს უჭერს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



Kingdom of the Netherlands

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიის განმტკიცებისა და გავრცელებისთვის მსოფლიოში. NDI მუშაობს დემოკრატიებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org

ISFED არამომგებიანი, არასამთავრობო და მიუკერძოებელი ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოში დემოკრატიული პროცესებისა და სამართლიანობის დამკვიდრებას უწყობს ხელს. სამოქალაქო აქტივიზმის წახალისების და გადაწყვეტილებების მიღებისა და პოლიტიკის ფორმირების პროცესში მოქალაქეთა ჩართვის გზით, ISFED საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას უჭერს მხარს.